**„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლეთა შეუფერხებელი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ივლისის N371 დადგენილებით განსაზღვრული სამთავრობო კომისიის სხდომის**

ოქმი N2

13 აგვისტო 2018 წელი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი N144

თავმჯდომარეობდა: **მიხეილ დუნდუა** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

**ივანე ბიბილაშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

**ნოე ქინქლაძე** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

**ივანე გოლიაძე** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

**მარინა აბრამიშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსი;

**ბესარიონ ბუჩუკური** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტის უფროსი;

**კახაბერ ძიმისტარიშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;

**ზვიად ლათიბაშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;

**ნოდარ ყოჩიშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

**ნანი ალანია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი;

**გურამ გიორგობიანი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

**მანანა გორდულაძე** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი;

**გიორგი ფიცხელაური** - ქონების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;

**ბადრი ჩერქეზიშვილი** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

**პაატა ჯიოშვილი** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ჯუანშერ ბურჭულაძე** - სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე;

**ნინო ნოზაძე** - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი.

კომისიის სამდივნო:

**ჯუნა გერსამია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

**ლალი მაისურაძე** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასა და

მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

**კომისიის სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ:**

**ნათია გულუა** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე-საბიუჯეტო პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;
**ლელა პატარაია** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშგების და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

დღის წესრიგი

კომისიის წევრებმა თავიანთი კომპეტენციების და შესაძლებლობების ფარგლებში იმსჯელეს და შეჯერდნენ საკითხების მოგვარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე.

საკითხი - 1.

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სალიკვიდაციო ბალანსის და ინვენტარიზაციის დასრულების ვადების განსაზღვრა.**
კომისიის პირველ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ბ-ნ. ბესარიონ ბუჩუკურმა წარმოადგინა სალიკვიდაციო ბალანსისა და ინვენტარიზაციის დასრულების სავარაუდო თარიღები (2018 წლის 10 სექტემბერი და 1 ოქტომბერი), რასთან დაკავშირებითაც კომისიის წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. შესაბამისად, მიღებულ იქნა შემდეგი **გადაწყვეტილება:**
სალიკვიდაციო ბალანსის მომზადების ვადად განისაზღვროს 2018 წლის 10 სექტემბერი, ხოლო ინვენტარიზაციის დასრულების ვადად 1 ოქტომბერი.
ყოფილ დევნილთა სამინისტროში შეიქმნას საინვენტარიზაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობა შეთანხმდება კომისიასთან ელექტრონულად, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 17 აგვისტოსა.

საკითხი - 2.

**N371 დადგენილებით განსაზღვრული კომისიის მუშაობის ვადის განსაზღვრა.**
**მოისმინეს ბ-ნ. ნოე ქინქლაძის** აზრი, რომელმაც აღნიშნა, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (N3024-რს, 5/07/2018 წ.) ამოქმედებიდან არაუგვიანეს 3 თვისა, უფლებამონაცვლე უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ამ

უწყებების სისტემაში (სტრუქტურაში) შერწყმის/რეორგანიზაციის პროცესთან დაკავშირებული, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, სათანადო ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლეთა შეუფერხებელი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ივლისის N371 დადგენილებით განსაზღვრული კომისიის მუშაობის ვადად სასურველია განისაზღვროს 2018 წლის 12 ოქტომბერი.

**გადაწყვეტილება:**

კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ კომისიის მუშაობის დასრულების ვადად განისაზღვროს 2018 წლის 12 ოქტომბერი.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

საკითხი - 3.

**უფლებამონაცვლე სამინისტროებზე გადასაცემი ავტომობილების სია.**

**მოისმინეს ბ-ნ. ბესარიონ ბუჩუკურის ინფორმაცია,** რომელმაც აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროს გადაეცემა 2 ავტომობილი (Kia Sportage სახ. ნომრით SQQ-140 და Renault Duster სახ. ნომრით AF-748-FA), რომლებიც ემსახურებოდა ყოფილი დევნილთა სამინისტროს განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტს. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გადასაცემ ავტომობილებს (Nissan Terrano 4X4 სახ. ნომრით JHJ-826 და Mercedes Benz E240 სახ. ნომრით KDK-827), რომლებიც ემსახურებოდნენ მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტს, ამ ეტაპზე სასურველია მხოლოდ 1 ავტომობილის (Mercedes Benz E240) გადაცემა.

ასევე, **მოისმინეს ბ-ნ. ბადრი ჩერქეზიშვილის** აზრი, რომელმაც აღნიშნა, რომ თუკი არ არსებობს ამ ავტომობილის გადაცემის აუცილებლობა, შსს თავს შეიკავებს მისი მიღებისგან, რადგან აღნიშნული ავტომობილი დაზიანებულია და მისი შეკეთება მაღალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

**აზრთა ურთიერთგაცვლის საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:**

ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროს გადაეცეს 2 ავტომობილი (Kia Sportage სახ. ნომრით SQQ-140 და Renault Duster სახ. ნომრით AF-748-FA). ავტომობილების გადაცემაზე ხელმომწერ პირად განისაზღვროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ბ-ნ. ნოდარ ყოჩიშვილი.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

გარდა ამისა, სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:
ცალკეული საკითხები კომისიის წევრებთან შესაძლოა შეთანხმდეს ელექტრონულად, ხოლო საჯარო სხდომის ჩატარების აუცილებლობას, საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, წყვეტს კომისიის თავმჯდომარე.

დანართი:

1. მონაცემები სამთავრობო კომისიის სხდომაზე კომისიის წევრებისა და მოწვეული პირების დასწრების შესახებ.

სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე — მიხეილ დუნდუა

სამთავრობო კომისიის მდივანი — ჯუნა გერსამია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლეთა შეუფერხებელი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

სამთავრობო კომისიის **N2** სხდომა

**13** აგვისტო **2018** წ.

| N | სახელი გვარი | ტელეფონი | მეილი | ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | მიხეილ დუნდუა | 595 15 54 27 | mdundua@moh.gov.ge | |
| 2 | გიორგი კაკაურიძე | 577 05 15 90 | giorgi.kakauridze@mof.ge | |
| 3 | ივანე ბიბილაშვილი | 577 77 00 94 | d.bibilashvili@gmail.com | |
| 4 | ნოე ქინქლაძე | 595 22 20 00 | nkinkladze@moh.gov.ge | |
| 5 | ივანე გოლიაძე | 577 22 28 38 | vaniko@moh.gov.ge | |
| 6 | მარინა აბრამიშვილი | 577 55 53 57 | mabramishvili@moh.gov.ge | |
| 7 | ბესარიონ ბუჩუკური | 577 28 24 34 | b.buchukuri@mra.gov.ge | |
| 8 | კახაბერ ძიმისტარიშვილი | 577 97 19 19 | kdzimistarishvili@moh.gov.ge | |
| 9 | ზვიად ლათიბაშვილი | 599 60 95 95 | z.latibashvili@mra.gov.ge | |
| 10 | ნოდარ ყოჩიშვილი | 599 85 94 41 | n.kochishvili@mra.gov.ge | |
| 11 | ნანი ალანია | 577 73 58 55 | nalania@moh.gov.ge | |
| 12 | გურამ გიორგობიანი | 577 55 11 13 | ggiorgobiani@moh.gov.ge | |
| 13 | მანანა გორდულაძე | 595 11 34 00 | m.gorduladze@mra.gov.ge | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14 | ეკატერინე გუნცაძე | 577 05 15 90 | e.guntsadze@mof.ge | |
| 15 | გიორგი ფიცხელაური | 577 15 15 22 | | gpitskhelauri@[illegible].gov.ge |
| 16 | თია მელაძე | 577 52 67 27 | t.meladze@mia.gov.ge | |
| 17 | ალექსანდრე კუტიბაშვილი | 591 40 44 55 | a.kutibashvili@mia.gov.ge | |
| 18 | ბადრი ჩერქეზიშვილი | 577 44 34 43 | b.cherkezishvili@yahoo.com | |
| 19 | დავით მეტრეველი | 577 28 47 88 | d.metreveli@mrdi.gov.ge | |
| 20 | ჯუანშერ ბურჭულაძე | 599 33 44 66 | jburchuladze@mdf.org.ge | |
| 21 | ნინო ნოზაძე | 577 99 95 05 | ninonozadze111@yahoo.com | |
| 22 | ზურაბ თოლორდავა | 577 05 19 71 | zurab.tolordava@mof.ge | |
| 23 | ნათია გულუა | 577 92 29 12 | n.gulua@mof.ge | |

[illegible] 577 55 75 99 P.jioshvili@mrdi.gov.ge

[illegible] 595 23 53 45 l.pataraia@mof.ge